მესამე პირთა მიმართ სავალდებულო ავტო დაზღვევა საქართველოში

კობა ბასილაია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
https://orcid.org/0009-0009-0271-342X
E-mail: k.basilaia@yahoo.com

ლაშა-გიორგი სიმონიშვილი-ჯაყელი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
https://orcid.org/0009-0009-7560-1883
E-mail:lasha.jakeli@ttbcinsurance.ge

DOI: https://doi.org/10.52340/bal/2023.03.10

ანოტაცია

დღესდღეობით საქართველო დიდი გამოწვევის წინაშე დგას, ერთის მხრივ საკმაოდ სასიხარულო ამბავია, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვება ჩვენი ქვეყანისთვის, მეორეს მხრივ კი დიდი პასუხისმგებლობაცაა ქართველი ხალხისთვის; მთელი რიგი ვალდებულებების შესრულება მოგვიწევს რათა ევროკავშირის წევრი ქვეყნების რიგებს შევუერთდეთ;

დღეს სწორედ იმ ვალდებულებაზე შევჩერდებით, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა - ესაა მესამე პირთა მიმართ სავალდებულო ავტო დაზღვა.

ნაშრომში წარმოდგენილია მესამე პირთა მიმართ სავალდებულო ავტო დაზღვის მნიშვნელობა და აუცილებლობა განვითარებადი ქვეყნებისთვისა და მათში არსებული სადაზღვევო კომპანიებისთვის;

სტატიის ობიექტია ქართული არა სიცოცხლის ბაზარი.

საკვანძო სიტყვები: მზღვეველი; დამზღვევი; მესამე პირთა მიმართ სავალდებულო ავტო დაზღვევა;

ციტირებისთვის: ბასილაია კ., სიმონიშვილი-ჯაყელი ლ.გ. მესამე პირთა მიმართ სავალდებულო ავტო დაზღვევა საქართველოში, ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 16 (3), 77-79. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk.

MOTOR THIRD PARTY LIABILITY IN GEORGIA

Koba Basilaya
Academic Doctor of Economics Sokhumi State University,
Associate Professor
https://orcid.org/0009-0009-0271-342X
E-mail: k.basilaia@yahoo.com

Lasha-Giorgi Simonishvili-Jakeli
Master of Business administration
https://orcid.org/0009-0009-7560-1883
E-mail:lasha.jakeli@ttbcinsurance.ge

ANNOTATION

Nowadays, Georgia is facing a big challenge, on the one hand, it is quite a happy news for our country to get the status of a candidate for the European Union, on the other hand, it is a great responsibility for the Georgian people; We will have to fulfill a number of obligations in order to join the ranks of EU member states;

Today we will focus on that obligation, which is one of the important requirements of the Association Agreement with the European Union - this is mandatory auto insurance for third parties.

The paper presents the importance and necessity of compulsory third-party auto insurance for developing countries and their existing insurance companies;

The object of the article is the Georgian non-life market.

keywords: insurer; insurer; Mandatory auto insurance for third parties.

For citation: Basilaya K., Simonishvili-Djakeli L.G. Mandatory auto insurance for third parties in Georgia, journal „Business and Legislation", 16 (3), 77-79. Retrieved from https://ojs.b-k.ge/index.php/bk.

ძირითადი ტექსტი

მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების შექმნისთვის ევროპულ სახელმწიფოებში ავტო დაზღვევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს სადაზღვევო კომპანიები მაქსიმალურად ცდილობენ განავითარონ ავტო დაზღვევის ბაზარი. ყოველწლირად ბაზრის წილი იზრდება. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ სავალდებულო ავტო დაზღვევა აჩქარებს ინტეგრაციის პროცესს, ასევე საუკეთესო საშუალებაა უცხოური გამოცდილების გასაზიარებლად.

საკითხის მარტივად გასაგებად დავიმოწმებთ მაგალითს, როდესაც ხდება ავტო საგზაო შემთხვევა, ყოველთვის გამოიკვეთება ბრალელი მხარე, რომელმაც უნდა დაფაროს, როგორც საკუთარი ავტომობილის შეკეთების ხარჯი, ასევე დაზარალებული მესამე პირის ავტომობილის ან ქონების ზარალის თანხა. საქართველოში იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის 50%-ზე მეტი მცირე შემოსავლით ცხოვრობს, საზოგადოების ეს ნაწილი საკმაოდ დიდი ვალდებულებისა და განსაცდელის წინაშე დგებიან. მსგავს სიტუაციაში თუნდაც შეძლებული ნაწილისთვის არ არის სასურველი გაუთვალისწინებელი ხარჯები.

სწორედ ამიტომ, თვეში 20 ლარის გადახდა და 10 000 ლარიანი მესამე პირთა მიმართ პასუხსმგებლობის დაზღვევის ლიმიტის შეძენა უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე ამხელა გაუთვალისწინებელი ხარჯის გადახდა, რაც ხშირ შემთხვევაში, სახსრების არ ქონის გამო, სასამართლო პროცესში გადაიზრდება ხოლმე და ბოლოს ქონების დააყადაღებით სრულდება.

ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომლის შესრულების ვალდებულებაც საქართველოს 2020 წლისთვის ქონდა, რაც კოვიდ პანდემიის გამო, გადაიწია დაუდგენელი დროით, ახლა კი, როცა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოვიპოვეთ, ეს საკითხი მეტად აქტუალური გახდება.

ქართველი ერი ყოველთვის იყო კრიტიკული სიახლეებისა და რადიკალური ცვლილებების მიმართ. მაგალითად, ავიღოთ კანონი, ავტომობილის მართვა ღვედის გარეშე, ისჯება ადმინისტრაციული ჯარიმით. საზოგადოება ამ კანონს ორიათასიან წლებში კრიტიკულად შეხვდა და მრავალი უკმაყოფილება გამოიწვია, თითქოს მათი უფლებები და თავისუფლება ირღვეოდა, ეს ყველაფერი გამოიწვია ჩვევამ. ხალხი 90-იანი წლებშიღვედის გარეშე მანქანის მართვას მიჩვეული იყო და გაუჭირდათ, საზოგადოებრივი სიკეთის დანახვა ახალ კანონში. მაგრამ ფაქტი სახეზეა, ხალხმა კანონის ძალის მეშვეობით გამოიმუშავა მართვის კულტურა და დღეს ყველა შეკრული ღვედით დადის, სამაგიეროდ, შემცირდა სიკვდილიანობა და გაიზარდა საზოგადოებაში მორალის დონე. ამისათვის კი, საჭირო იყო საზოგადოების ფართო მასების ფსიქოლოგიაზე ზემოქმედება, რათა ამ კანონის სიკეთე ეჩვენებინათ მათთვის. სტატიების, მასმედიის, ჟურნალ-გაზეთების, ტელე გადაცემებისა და სხვადასხვა თანამედროვე აქტივობების მეშვეობით, მარტივად მოხერხდა საზოგადოების ინტელექტისა და შეგნების დონის ამაღლება.

ვფიქრობთ, მსგავსი რეაქცია მოყვება მესამე პირთა მიმართ სავალდებულო ავტო დაზღვასაც. მაგრამ სადაზღვეო კომპანიებისა და იმ საზოგადოების ჩართულობით, ვისაც მსგავსი შემთხვევების გამოცდილება საკმაოდ აქვს, მალე მოხდება ამ კანონის ათვისება და სადაზღვევო სიკეთის დანახვაც.

მესამე პირთა მიმართ ავტო დაზღვევასთან ერთად, ასევე ავტო დაზღვევაც სავადებულოა ზოგიერთ ქვეყანაში, რაც მზღვევლებს შემდეგ უპირატესობებს სთავაზობს:

დაზღვევა იხდის ზარალს - თუ თქვენ შეგემთხვათ ავარია და ეს თქვენი ბრალია, თქვენ მოგიწევთ გადაიხადოთ თქვენი მანქანის შეკეთება, ისევე როგორც სხვისი მანქანის. ეს ბევრი ფულია! შესაბამისად, დაზღვევა გაცილებთ ამ ხარჯებს;

ცვლის მოპარულ მანქანას - წარმოიდგინეთ სცენა: თქვენ მორჩით საყიდლებს და მიდიხართ თქვენი პარკინგის ადგილისკენ და გხვდებათ ცარიელი. სამწუხაროდ, ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ ამ შიშის გრძნობას. მაგრამ როდესაც თვენ სარგებლობთ შერჩეული პირობით დაზღვევაში შეძლებთ მიიღოთ შემცვლელი მანანა;

გაუთვალისწინებელ სიტუაციებში თანხის ანაზღაურება - ხანძრის, სეტყვის, უეცარი ნივთის დაცემის გაკონტროლება შეუძლებელია, რაც შესაბამისად დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა დაზღვევა გიფარავთ ხარჯებს ესეთ სიტუაციებშიც;

საგზაო დახმარება - მანქანის დაზღვევა არის კონკურენტუნარიანი ინდუსტრია, რაც ნიშნავს, რომ არსებობს უამრავი დამატებითი სარგებელი, რომელსაც სთავაზობენ სერვისის პროვაიდერები მომხმარებლებს მოსაზიდად. ერთ-ერთი ასეთი უპირატესობაა გზისპირა დახმარება. იქნება ეს გაფუჭებული საბურავი, რომელიც საჭიროებს გამოცვლას, თუ ბენზინი ამოგეწურათ, არსებობს სერვისი, რომელიც დაგეხმარებათ.

ფასდაკლება კარგი მართვისთვის - კონკურენტული

ინდუსტრიის კიდევ ერთი დიდი უპირატესობა არის შეთავაზებული ღირებულების შემცირება. ზოგიერთი კომპანია გვთავაზობს ქეშბექს გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც უჯარიმოდ ან ზარალის გარეშე ჩაივლის განსაზღვრული პერიოდი, ზოგი კი გთავაზობთ აპებს, რომლებიც თვალყურს ადევნებენ თქვენს მართვის ქცევას და აჯილდოვებენ პრემიუმ ფასდაკლებით.

ჩვენს მიერ დამოწმებული მააგალითებიდან გამომდინარე, იკვეთება დაზღვევის უდიდესი პრივილეგიები, დაზღვევა მომხმარებელს არიდებს ისეთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს, რომელთა განსაზღვრაც შეუძლებელი იყო. რომ დავფიქრდეთ, მომხდარი შემთხვევის ღირებულება ხშირად ბევრად აჭარბებს დაზღვევის პოლისში გადახდილ თანხას. ქართულ საზოგადოებას კარგად უნდა ესმოდეს თვეში გადახდილი 20 ლარი სავალდებულო მესამე პირთა ავტო დაზღვევისთვის წყალში გადაყრილი თანხა კი არ არის, არამედ ეს არის სიმშვიდისა და იმედის შეძენა ისეთი მომენტისთვის, როცა ეს ყველაზე ძალიან გჭირდება.

დასკვნა

ამდენად, დაზღვევასთან დაკავშირებით ევროკავშრის წევრი ქვეყნების მაგალითი და გამოცდილება ჩვენთვის გამოსადეგი და მნიშვნელოვანია, რადგან მათ ამ სფეროში უკვე მრავალი წელია საუკეთესო პრაქტიკა გააჩნიათ. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არა მხოლოდ მესამე პირის დაზღვევა, არამედ კასკო - ქონების დაზღვევა და ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევაც მნიშვნელოვანი ნაწილებია დაზღვევაში და უნდა დამკვიდრდეს პრაქტიკაში, რაც საზოგადოებისთვის ბევრ ბენეფიტს მოიტანს და გაამარტივებს პროცესებს. ამის გარდა, კიდევ უნდა შევნიშნოთ ის საკითხიც, რომ ყველა ევროპულ და განვითარებულ ქვეყანაში სამშენებლო დაზღვევა სავალდებულოა, თუმცა ჩვენს ქვეყანაში მშენებლობის და სამშენებლო კომპანიების სიმრავლის მიუხედავად, მათი ინტერესი თითქმის ნულს უტოლდება დაზღვევასთან დაკავშირებით. ვფიქრობ საქართველოშიც სავალდებულო უნდა გახდეს მშენებლობის დაზღვევა. ევროკავშირთან მოლაპარაკებების დროს ერთ-ერთი მათი პირობა სწორედ დაზღვევის სავალდებულოდ გახდომა იყო, თუმცა კოვიდის პერიოდის დამთხვევის გამო, ეს მოთხოვნა უვადოდ გადაიდო, მაგრამ ახლა როდესაც უკვე ვართ კანდიდატობის წევრი ქვეყანა და ბევრი სასარგებლო მოთხოვნების ჩამოყალიბება და კანონად მღება გვევალება, ვიმედოვნებთ, ეს საკითხიც განხილული იქნება და შესაბამისი ზომებიც მიღებული, რადგან სამშენებლო რისკები ერთ-ერთი ყველაზე რთული რისკებია, რომელთა გათვლაც ბევრად რთულია და მეტად საზიანო კომპანიისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://insurance.gov.ge - საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური;
2. www.aldagibci.ge - სს „ სადაზღვევო კომპანია ალდაგი“;
3. www.gpih.ge - სს „ სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“;
4. https://www.radiotavisupleba.ge/a/ვის-და-რადის-შეეხება-ავტომობილის-სავალდებულო-დაზღვევა---პასუხი-ყველა-კითხვაზე-/29785293.html.